



გრიგოლ ფერაძის პირადი არქივის  
აღწერილობა

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი – გვ. 3

I) გრიგოლ ფერაძე (ბიოგრაფიული ცნობები) – გვ. 5-8

II) ბიოგრაფიისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა –  
გვ. 9-17

III) შემოქმედება – გვ. 18-22

IV) მიმოწერა – გვ. 23

V) სხვადასხვა – გვ. 24-25

VI) სხვა არქივებში დაცული მასალები გრიგოლ ფერაძის შესახებ – გვ.  
26-29

ა) პირთა საძიებელი – გვ. 30-33

ბ) გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი – გვ. 34

გ) ძველიდან ახალ ნომერზე გადამყვანი ცხრილი – გვ. 35-37

## შესავალი

ცნობილი ქართველი თეოლოგის, მეცნიერის და საეკლესიო მოღვაწის გრიგოლ ფერაძის (1899-1942) პირადი არქივი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შემოვიდა 1976 წლის 15 დეკემბერს; ნაწილი შემოსწირა ოჯახმა, 1996 წლის 30 ივნისს; ნაწილი კი, ძმისშვილმა რომანოზ ფერაძემ 1998 წლის 2 ივლისს.

არქივი დაამუშავა რუსუდან კავილაძემ და იგი შეიცავდა 56 საარქივო ერთეულს. გრიგოლ ფერაძის პირად არქივს ხელახალი გადამუშავებისას დაემატა უცხოენოვან სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ქსეროასლები და მის შესახებ ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები. ზემოთაღნიშნული მასალები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ქველმოქმედების მიზნით აჩუქა გოჩა საითიძემ 2009 წლის 29 ივლისს. ამჟამად გრიგოლ ფერაძის არქივი შეიცავს 107 საარქივო ერთეულს.

აღნიშნული მასალა წარმოადგენს უძვირფასეს წყაროს XX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს კულტურული, სულიერი და მეცნიერული ცხოვრების, აგრეთვე, გრიგოლ ფერაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის თვალსაზრისით.

აღწერილობაში მასალა დალაგებულია თემატურად და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით:

- 1) ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა;
- 2) შემოქმედება;
- 3) მიმოწერა.
- 4) სხვადასხვა.
- 5) სხვა არქივებში დაცული მასალები გრიგოლ ფერაძის შესახებ.

გრიგოლ ფერაძის პირადი არქივის აღწერილობას ახლავს პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები და ძველიდან ახალ ნომერზე გადამყვანი ცხრილი.

გრიგოლ ფერაძის პირადი არქივი გადაამუშავა ერეკლე შველიძემ  
2009 წელს.

## I) გრიგოლ ფერაძე (1899-1942)

გრიგოლ ფერაძე დაიბადა 1899 წლის 31 აგვისტოს (13 სექტემბერს) სოფელ ბაკურციხეში (ახლანდელი გურჯაანის რაიონი), მღვდელ რომანოზ ფერძისა და მარიამ სამადაშვილის ოჯახში.

1905 წელს მამის გარდაცვალების შემდეგ გრიგოლ ფერაძე საცხოვრებლად გადავიდა ყვარელში, მისი ბიძის ყვარლის ეკლესიის მოძღვარის გიორგი ფერაძის ოჯახში.

1913 წელს მან დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი და შევიდა სასულიერო სემინარიაში, სადაც გაეცნო კორნელი კეკელიძეს, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მის შემდგომ ცხოვრებაზე.

1918 წელს გრიგოლ ფერაძემ დაამთავრა თბილისის სასულიერო სემიანარია.

1918-1921 წლებში ის სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. იმავდროულად მასწავლებლობდა ზემო ხანდაკში (გორის მაზრა).

1921 წლის თებერვალში გრიგოლ ფერაძე მის ორ ძმასთან ერთად მონაწილეობდა ბრძოლებში საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად.

1921 წელს, მარტიდან ის მასწავლებლობდა სოფელ მანაეში, სადაც გაგზავნა კორნელი კეკელიძემ, რათა აეშორებინა იგი წითლების რეპრესიებს.

1921 წლის სექტემბერში გარეკახეთის სამღვდელოების წარდგენით, მონაწილეობდა მე-3 საეკლესიო კრების მუშაობაში გელათში. კორნელი კეკელიძისა და მიტროპოლიტ ნაზარის (ლეჟავა) შუამდგომლობით გადაწყდა მისი გაგზავნა სწავლის გასაგრძელებლად ევროპაში. მას რეკომენდაცია გაუწია პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ და საქართველოში მოღვაწე ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა არტურ ლაისტმა, რომლებმაც სარეკომენდაციო წერილები გაუგზავნეს გერმანელ თეოლოგს იოჰანეს ლეფსიუსს, ამ უკანასკნელმა დიდი ღვაწლი დასდო გრიგოლ ფერაძის წინსვლას და მეცნიერად ჩამოყალიბებას.

1922 წლის მაისიდან 1925 წლის აპრილამდე ის სწავლობდა ბერლინის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტზე. აქ მას ასწავლიდნენ ცნობილი მეცნიერები: ადოლფ ფონ ჰარნაკი, კარლ ბროკელმანი, ბრუნო მაისნერი, ადოლფ დაისმანი.

1925 წლის 29 აპრილიდან პროფესორ ჰაინრიხ გუსენის ხელმძღვანელობით გრიგოლ ფერაძემ სწავლა განაგრძო ბონის უნივერსიტეტში.

1926 წლის თებერვალში გრიგოლ ფერაძემ ბონის უნივერსიტეტში წარადგინა სადოქტორო დისერტაცია თემაზე “ქართული ბერძონაზვნობის ისტორია მისი დასაწყისიდან 1064 წლამდე” და მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ამ დროისთვის იგი ფლობდა: ძველბერძნულ, სირიულ, არაბულ, კოპტურ, ძველბრაულ, ლათინურ, ძველსომხურ, სლავურ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, და ფრანგულ ენებს.

1927-32 წწ. იგი იყო ქართული და სომხური ენების ლექტორი ბონის უნივერსიტეტში, შემდეგ, ქართული და სომხური ფილოლოგიის პრივატდოცენტი.

1927 წელს გრიგოლ ფერაძე მონაწილეობდა ლოზანაში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში, როგორც საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელი.

1928 წელს მან ბონში ორიენტალისტთა სხდომაზე წაიკითხა მოხსენება ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ, რის საფუძველზეც მიღებულ იქნა რეზოლუცია ქართული მემკვიდრეობის მნიშვნელობისა და მისი გერმანიის უნივერსიტეტებში სწავლების საჭიროების შესახებ. 1929 წელს მისი უშუალო მონაწილეობით პარიზში დაარსდა საქართველოს საზღვრებს გარეთ წმინდა ნინოს სახელობის პირველი ქართული მართლმადიდებლური ეკლესია.

1931 წლის აპრილში, ლონდონის წმინდა სოფიას ბერძნულ საკათედრო ტაძარში გრიგოლ ფერაძე ბერად აღიკვეცა. იმავე წლის 25 მაისს იგი მღვდლად ეკურთხა და 31 მაისს შეუდგა მღვდელთმსახურებას

პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიაში. 1931 წელს პარიზში მისი რედაქტორობით დაიწყო სამეცნიერო-თეოლოგიური ჟურნალის “ჯვარი ვაზისა” გამოცემა. პარიზში ცხოვრებისას მამა გრიგოლი ექვთიმე თაყაიშვილს ეხმარებოდა ქართული განძის სისტემატიზებაში, კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა ინსტიტუტში.

1933 წელს სრულიად პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტის დიონესე ვალედინსკის მიწვევით, ის გადადის ვარშავაში, სადაც დასახლდა ბრუკოვის ქ. 22-ში, ერთ პატარა ოთახში და დაიწყო მუშაობა ვარშავის უნივერსიტეტში მართლმადიდებლური თეოლოგიის ფაკულტეტზე პატროლოგიის პროფესორად და კათედრის გამგის მოადგილედ.

1933-39 წწ. ყოველ წელს იგი საადღმომო, საშობაო და საზაფხულო არდადეგებზე ჩადიოდა პარიზის ეკლესიაში და არ აკლებდა სულიერ ზრუნვას წმ. ნინოს ეკლესიის მრევლს, ამასთან არ წყვეტდა სამეცნიერო მოღვაწეობას და თავისი სახსრებით მოგზაურობდა ქართული კულტურის ძეგლების და ხელნაწერების შესასწავლად რუმინეთში, ბულგარეთში, იტალიაში, ავსტრიაში, საბერძნეთში, ათონის მთაზე, სადაც მან აღმოაჩინა უმნიშვნელოვანესი ხელნაწერები და ბევრი მათგანი შეიძინა კიდევაც საკუთარი სახსრებით.

1934 წელს ლონდონის წმინდა სოფიას საკათედრო ტაძარში ის აკურთხეს არქიმანდრიტად.

1936 წელს მან იმოგზაურა იერუსალიმსა და სირიაში და გაეცნო წმინდა მიწაზე დაცულ ქართულ სიძველეებს. ამ მოგზაურობებს მიეძღვნა მისი არაერთი უმნიშვნელოვანესი ნაშრომი.

მათ შორის სპეციალისტების განსაკუთრებით დიდ შეფასებას იმსახურებს მისი მონოგრაფია „ უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ“, რომელიც პალესტინაში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული პილიგრიმების წყაროებზე დაყრდნობით ამომწურავ ინფორმაციას იძლევა ქართული კულტურის უძველეს ძეგლებზე.

ამ მოგზაურობისას მამა გრიგოლი აწარმოებდა დღიურებს, რომელიც პირველად დაიბეჭდა პოლონურ ჟურნალში „სლოვო“. ეს დღიურები შეიცავენ მრავალ მნიშვნელოვან ინფორმაციას წმინდა მიწაზე არსებულ ქართულ ძეგლებზე და ცალკეულ ქართულ წარწერებზე.

1939 წელს გერმანია თავს დაესხა პოლონეთს. დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ვარშავის უნივერსიტეტი დაიხურა. გრიგოლ ფერაძემ არ მიატოვა მისი მეორე სამშობლო პოლონეთი. ვარშავის დაბომბვის დროს, მამა გრიგოლი ხშირად ჩნდებოდა საშიშ ადგილებში, უგლიდა დაჭრილებს, მარხავდა მკვდრებს, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, ყოველნაირად ეხმარებოდა პოლონელებს და ებრაელებს, ცდილობდა დაღუპვისგან ეხსნა ისინი, რითაც პოლონელი ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა.

1942 წლის 4 მაისს ფაშისტების მომხრე ქართველების დასმენით, ვარშავაში ებრაელი დევნილების დახმარებისთვის და პოლონელ იატაკქვეშელებთან თანამშრომლობის ბრალდებით გესტაპომ დააპატიმრა გრიგოლ ფერაძე.

1942 წლის 6 დეკემბერს არქიმქნდრიტი გრიგოლ ფერაძე ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში აღესრულა მოწამეობრივი სიკვდილით. გადმოცემის თანახმად, ის თავისი ნებით შევიდა გაზის კამერაში მრავალშვილიანი ებრაელი ტუსადის ნაცვლად. ომის დამთავრების შემდეგ მამა გრიგოლის ჯვარი ბანაკიდან დაბრუნებულმა ყოფილმა პატიმარმა გადასცა მიტროპოლიტ დიონისეს.

1995 წელს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდმა არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე წმინდანად შერაცხა. წმინდა მღვდელთმოწამე გრიგოლ ფერაძის ხსენების დღედ დაწესებულია 6 დეკემბერი.



## II) ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი მასალა

1. გრ. ფერადის ჩანაწერები; წაკითხული წიგნების სიით.

[1911-1912 წწ.], ქართულ და რუსულ ენებზე, ავტოგრაფი, 13 ფ.

2. გრ. ფერადის დღიური.

1920 წ. 26 ნოემბერი, 1921წ. 6 ნოემბერი, ავტოგრაფი, ნაწილობრივ  
ფანქრით ნაწერი, 45 ფ.

3. გრ. ფერადის თხოვნა საზოგადოება „ჩემოს“ გამგისადმი.  
ითხოვს ფულად დახმარებას გერმანიაში გასამგზავრებლად სწავლის  
გაგრძელების მიზნით.

1921 წ. 20 ოქტომბერი, თბილისი, ავტოგრაფი, 2 ფ.

4. საგაზეთო სტატია - „არარატსა და ყაზბეგს შორის“. გაზ.

„ლიტერატურული გაზეთი“;

ეხება კაზიმეჟ როშკოს და იან ბრაუნს. ამავე სახელწოდების წიგნში,  
მოსხენიებულია გრ. ფერადე.

1926 წ. 29 ივნისი, 1 ც.

5. ვიქტორ ნოზაძის წერილი ვასილ ფერადისადმი.

სწერს, რომ არ იცის გრიგოლ ფერადის დაპატიმრების და დაღუპვის  
ამბავი.

1964 წ. 27 ივლისი, პარიზი, ავტოგრაფი, ხელმოწერით, 1 ფ.

6. გივი ჟორდანიას საგაზეთო სტატია - „მომე პოლონეთის მიწაზე“. გაზ.  
„სახალხო განათლება“; ეხება გრ. ფერადეს.

1964 წ. 12 აგვისტო, 1 ც.

7. შალვა ამირანაშვილის საგაზეთო სტატია - „პარიზის შემდეგ ვენა“.  
გაზ. „კომუნისტი“ № 172 (მოსხენიებულია გრ. ფერადე).

1969 წ. 2 ივლისი, 1 ც.

8. კალისტრატე სალიას წერილი ვასილ ფერადისადმი, გრ. ფერადის  
შესახებ.

მოუთხრობს გრიგოლ ფერადის მოღვაწეობისა და საქმიანობის შესახებ და აღნიშნავს, რომ მისი ტრაგიკული აღსასრული დიდი დანაკლისი იყო ქართული მეცნიერებისთვის.

1969 წ. 11 აგვისტო, პარიზი, ავტოგრაფი, 1 ფ.

9. ლარისა ხუბულურის საგაზეთო სტატია - „ჩვენი კულტურის მეგობარი“. გაზ. „კომუნისტი“ № 213, ეხება პოლონელ ქართველოლოგს, იან ბრაუნს. მოხსენიებულია გრ. ფერადე.

1969 წ. 13 სექტემბერი, 1 ც.

10. მიხეილ კვალიაშვილის წერილი ვასილ ფერადისადმი. სწერს გრ. ფერადის შესახებ; აცნობებს, რომ მასზე ცნობების მოწოდება შეუძლია ნიკო მათიკაშვილს, რომელიც პოლონეთში ცხოვრობს.

1969 წ. 5 ოქტომბერი, პოზნანი, ავტოგრაფი, ხელმოწერით, 2 ფ.

11. ნიკო მათიკაშვილის წერილი ვასილ ფერადისადმი. წერილი ეხება გრ. ფერადის ვარშავაში ცხოვრების პერიოდს.

პირი: მ. კვალიაშვილი, იედლიჩკა, ე. თაყაიშვილი  
[1969 წ. 22 ოქტომბერი]; [ვარშავა]; ავტოგრაფი; ერთი ფურცლის  
ასლი, 2 ფ. 1 კ.

12. იოსებ მეგრელიძის საგაზეთო სტატია - „გრიგოლ ფერადე“, გაზ. „სამშობლო“, (დაბადების 70 წლისთავის გამო).

1969 წ. 24 ოქტომბერი, 2 ც.

13. ანდრია გუგუშვილის წერილი ვასილ ფერადისადმი. წერილი ეხება გრ. ფერადის ცხოვრებას და მოღვაწეობას ლონდონში და პარიზში.

1970 წ. 23 იანვარი, ლონდონი, ავტოგრაფი, 4 ფ.

14. ანდრია გუგუშვილის წერილი ვასილ ფერადისადმი. წერილი წარმოადგენს 23 იანვარს გაგზავნილი წერილის შესწორებას.

1970 წ. 26 იანვარი, ლონდონი, 2 ფ. 1 კ.

15. თავისუფლების და დემოკრატიისთვის მებრძოლთა კავშირის მთავარ სამმართველოს მიმართულები ვასილ ფერადისადმი. აცნობებენ, რომ ვარშავის უნივერსიტეტის თეოლოგიის პროფესორი გრ. ფერადე დაიღუპა 1943 წელს, ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში.

1973 წ. 10-12 მარტი, ვარშავა, პოლონურ ენაზე, ნაბეჭდი,  
2 მიმართვა, 2 ფ.

16. ამონარიდი გაზეთიდან „სამშობლო“ № 19-20.  
ინტერვიუ პარიზის წმ. ნინოს სახელობის ეკლესიის დიაკონთან არჩილ  
დავრიშაშვილთან. მოხსენიებულია გრ. ფერაძე.

1991 წ. ოქტომბერი, ქართულ ენაზე, 1 გაზეთი.

17. თამარ დულარიძის საგაზეთო სტატია – „Странник. о жизни и смерти  
пастыря Григоли Перадзе“. გაზ. „Русская мысль“ (რუსული აზრი),  
№ 4086,

1995 წ. 13-19 ივლისი, რუსულ ენაზე, ასლი 2 ფ.

18. ამონარიდი გაზეთიდან „სალიტერატურო გაზეთი“, რომანოზ ფერაძის  
საგაზეთო სტატია გრ. ფერაძის შესახებ - „გაიღო მსხვერპლი  
სამშობლოსა და მოყვანისათვის, ეს რჩეულთა ხვედრია“.  
აქვს მინაწერი – „საითიძეების შესანიშნავ ოჯახს დიდი სიყვარულით და  
პატივისცემით რომანოზ ფერაძე 26. 11. 98 წ.“

1998 წ. მარტი, ქართულ ენაზე, 1 ც.

19. ამონარიდი გაზეთიდან „ქართული კულტურა“, № 26 (89), რომანოზ  
ფერაძის საგაზეთო სტატია გრ. ფერაძის შესახებ - „თეთრი ანგელოზის  
დაბრუნება“.  
აქვს მინაწერი - „საითიძეების შესანიშნავ ოჯახს დიდი სიყვარულით და  
პატივისცემით რომანოზ ფერაძე. 26. 11. 98 წ.“

1998 წ. 10-16 ივლისი, ქსერო-ასლი, 1 ფ.

20. ამონარიდი გაზეთიდან „თბილისის უნივერსიტეტი“ № 6, რომანოზ  
ფერაძის საგაზეთო სტატია გრ. ფერაძის შესახებ - „გაიღო მსხვერპლი  
სამშობლოსა და მოყვანისათვის, ეს რჩეულთა ხვედრია“.  
აქვს მინაწერი - „საითიძეების შესანიშნავ ოჯახს დიდი სიყვარულით და  
პატივისცემით, რომანოზ ფერაძე 26. 11. 98.“

1999 წ. 4 მარტი, ქართულ ენაზე, 2 ფ.

21. ჟურნალი „ცნობის ფურცელი“ № 5, სტატია გრიგოლ ფერაძის  
შესახებ. „საქართველოს მეგობართა გაერთიანება შვეიცარიაში-ს“ მიერ  
გამოცემული.

1999 წ. დეკემბერი, ციურიხი, გერმანულ ენაზე, 1 გამოცემა.

22. რომანოზ ფერაძის საგაზეთო სტატია გრ. ფერაძის შესახებ - „წმინდა მღვდელთმოწამე“. ამონარიდი გაზეთიდან „ციცინათელა“ № 36.

1999 წ; ქართულ ენაზე, 1 ც.

23. ელენე ხითარიშვილის საგაზეთო სტატია გრ. ფერაძის შესახებ - „Человек из легенды“, (ადამიანი ლეგენდიდან). ამონარიდი გაზეთიდან „Вечерний Тбилиси“, (საღამოს თბილისი);

2000 წ; 25-26 მაისი, რუსულ ენაზე, 1 ც.

24. ბექა მინდიაშვილის და სალომე გოგინაშვილის წერილი გრ. ფერაძის შესახებ - „წმ. მამა გრ. ფერაძე“ და „წმ. გრიგოლ ფერაძის ქადაგება წარმოთქმული პირველ ქართულ მართლმადიდებლურ წირვაზე, პარიზში მაისის 31-ს, 1931 წ.“ ამონარიდები გაზეთიდან „თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია“ №5 (17), 6 (18); №9 (21).

2000 წ; მაისი, ქართულ ენაზე, 1 ამონარიდი.

25. ანა ჩხეიძის წერილი გრ. ფერაძის შესახებ - „რატომ არ მიშვებენ სახლში“.

2001 წ; 9-15 აპრილი, ქართულ ენაზე, ამონარიდი გაზეთიდან „კვირის პალიტრა“, 1 ამონარიდი, 1 ფ.

26. რომანოზ ფერაძის წერილი გრ. ფერაძის შესახებ - „6 დეკემბერი წმინდა მამის გრიგოლ ფერაძის მოხსენების დღე“. ამონარიდი გაზეთიდან „თბილისის უნივერსიტეტი“.

2001 წ; 14 დეკემბერი, ქართულ ენაზე, 1 ამონარიდი, 1 ფ.

27. ირინე მჭედლიძის სტატია წმ. გრ. ფერაძის შესახებ - „ოსვენციმში დაღუპული ქართველი მოძღვარი წმინდანად შერაცხეს“, „გრიგოლ ფერაძე – პოლონელების გმირი“. ამონარიდი ჟურნალიდან „სარკე“.

2002 წ; 9-15 იანვარი, ქართულ ენაზე, ასლი, 2 ფ.

28. ბექა მინდიაშვილის წერილი გრ. ფერაძის შესახებ - „მინაარსი ჭეშმარიტი მოქალაქეობისა“. ამონარიდი გაზეთიდან „24 საათი“,

2002 წ; 31 აგვისტო, ქართულ ენაზე, 1 ამონარიდი, 1 ფ.

29. ამბროსი გრიშკაშვილის წერილი გრ. ფერაძის შესახებ - „წმინდანი და მეცნიერი“. ამონარიდი გაზეთიდან „ახალი ეპოქა“,

2002 წ; 21 დეკემბერი, ქართულ ენაზე, 1 ფ.

30. ბროშურა გრიგოლ ფერადის შესახებ: “Sw. Grzegorz Peradze Profesor Uniwersytetu Warszawskiego (1933-1942).

2002 წ; პოლონურ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ბუკლეტი.

31. მასალები გრ. ფერადის შესახებ პოლონური და გერმანული ჟურნალებიდან. ბეჭდური გამოცემა: „Studia Vschod.nie”.

2003 წ; 4 დეკემბერი, ვარშავის უნივერსიტეტი, ნაბეჭდი, ასლი, 3 ფ.

32. საგაზეთო სტატია გრ. ფერადის შესახებ - „Sesja ku czci ks Archimandryty Grzegorza Peradze (1899-1942)”. „Unwersytet Kulturatny”,

2003 წ; პოლონურ ენაზე, გაზ. 1 გაზეთი.

33. ნინო ლაშხის წერილი გრ. ფერადის შესახებ - „გრიგოლ ფერადე თეთრი ანგელოზი იყო”. ამონარიდი გაზეთიდან „ქართული უნივერსიტეტი“.

2004 წ; 25 თებერვალი; 2 მარტი, ქართულ ენაზე, 1 ამონარიდი, 1 ფ.

34. ბონდო კუპატაძის სტატია გრ. ფერადის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საღამოს შესახებ - „შთამომავლობა არ ივიწყებს ერის სულიერ ღირსეულ შვილებს”. ამონარიდი გაზეთიდან „თბილისის უნივერსიტეტი” № 7-9.

2004 წ; 26 თებერვალი, ქართულ ენაზე, 1 ამონარიდი, 1 ფ.

35. წერილი საქართველოს საპატრიარქოში წმინდა გრიგოლ ფერადისადმი მიძღვნილი საღამოს შესახებ - „წმინდა გრიგოლ ფერადისადმი მიძღვნილი საღამო საქართველოს საპატრიარქოში”. ამონარიდი გაზეთიდან „საპატრიარქოს უწყებანი” № 8.

2004 წ; 4-10 მარტი, ქართულ ენაზე, 1 ფ.

36. თამარ შაიშმელაშვილის წერილი - „არქიმანდრიტი გრიგოლ ფერადე გაზის კამერაში მრავალშვილიანი ტუსადის ნაცვლად საკუთარი სურვილით შევიდა”. ამონარიდი გაზეთიდან „მთავარი გაზეთი”.

2004 წ; 23 მაისი, ქართულ ენაზე, ასლი, 1 ფ.

37. ინტერვიუ ვარშავის საკათედრო ტაძრის წინამძღვართან ჰენრიკ პაპროცკისთან - „წმინდა გრიგოლ ფერადე – ქართველთა და პოლონელთა მფარველი”. ჟურნალი „საპატრიარქოს უწყებანი” № 30, № 31.

2004 წ.; 20-26 აგვისტო, 27 აგვისტო; 2 სექტემბერი, ქართულ ენაზე, 2 ჟურნალი.

38. თბილისის გოეთეს ინსტიტუტის გამოცემა „ღმობიერების გზაზე – გრიგოლ ფერაძე ქართველი თეოლოგი ევროპაში“ – გრიგოლ ფერაძისადმი მიძღვნილი სემინარი.

2004 წ. თბილისი, ქართულ ენაზე, 1 ც.ს

39. ბექა მინდიაშვილის წერილი წმ. გრ. ფერაძის შესახებ - „შინაარსი ჭეშმარიტი მოქალაქეობისა“. ამონარიდი ჟურნალიდან „ზღვარი“ № 1.

2004 წ.; ქართულ ენაზე, 3 ფ.

40. გოჩა ჯავახიშვილის წერილი წმ. გრ. ფერაძის შესახებ - „გრიგოლ ფერაძე პოლონეთში“. ამონარიდი გაზეთიდან „თბილისის უნივერსიტეტი“ № 3

2005 წ.; 27 იანვარი, ქართულ ენაზე, 1 ფ.

41. ნია ნუცუბიძის და ნინო რამიშვილის წერილი წმ. გრ. ფერაძის შესახებ - „ის მოგაგონებდათ ადამიანს, რომელმაც თავის ცხოვრებაში განასახიერა სახარების იდეალი“. წმ. გრ. ფერაძის თბილისის უნივერსიტეტის გაზეთი: „თაობა“.

2006 წ.; 1 ივნისი, ქართულ ენაზე, 1 გაზეთი.

42. წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის საზოგადოების პლაკატი და მოსაწვევი ბარათი გრიგოლ ფერაძის დაბადებიდან 107 წლისთავისადმი მიძღვნილ წირვა-ლოცვასა და საზოგადოების შეკრებაზე დასასწრებად ყვარელში.

2006 წ. 10 სექტემბერი, ქართულ ენაზე, 1 მოსაწვევი, 1 პლაკატი.

43. წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის საზოგადოების სპეციალური გამოშვება გაზეთი : „გრიგოლი ფერაძე“.

2006 წ.; 10 სექტემბერი, ქართულ ენაზე, 1 გაზეთი.

44. ნინო ნადიბაიძის სტატია გრ. ფერაძის შესახებ - „პოლონეთში მოღვაწე წმინდა მამის გრიგოლ ფერაძის გახსენება“. საერთაშორისო კონფერენცია თბილისის უნივერსიტეტში. სრულიად საქართველოს

კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოკლე წერილი გრიგოლ ფერაძის შესახებ. გაზ. „კლიტე დავითისი“, № 4.

2007 წ; ივნისი, ქართულ ენაზე, 1 გაზეთი.

45. ინტერვიუ წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის საზოგადოების თავმჯდომარე ილია ფერაძესთან: „ვარშავის ცენტრში ნიკორწმინდის ასლი აშენდება; პოლონელები წმინდა გრიგოლ ფერაძის ხსოვნას დიდ პატივს მიაგებენ“. ამონარიდი გაზეთიდან „კვირის პალიტრა“.

2008 წ; 28 იანვარი-3 თებერვალი, ქართულ ენაზე, 1 ამონარიდი.

46. პროტოპრესვიტერის ნიკოლოზ ლენჩევსკის წერილი გრიგოლ ფერაძის შესახებ - „Отец проф. Др. Архимандрит Григорий Перадзе“.(არქიმანდრიტი, მამა გრიგილ ფერძე)

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 7 ფ.

47. Ks. Henryk Paprocki-ის (ჰენრიკ პაპროცკის) წერილი - „Zycie I Dzielo Sw. Grzegorza Peradze“.

მღვდელი ჰენრიკ პაპროცკი - „წმ. გრიგოლ ფერაძის ცხოვრება და მოღვაწეობა“ და მისი ქართული თარგმანი.

პირი: სოფო საყვარელიძე, ნორა მიქელაძე.

უთარილო, პოლონურ და ქართულ ენებზე, ნაბეჭდი, ასლები, ხელნაწერი, 20 ფ.

48. მასალები გრიგოლ ფერაძის შესახებ პოლონურ და გერმანულ ჟურნალ-გაზეთებიდან.

„Zywoť svietego ojca naszego kaplana-meczennika archimnadyty Grzegorza Peradze“.  
„Pojecie, zadania I metody patrologji v teologji provost avnej“.

უთარილო, პოლონურ ენაზე, ნაბეჭდი, 22 ფ.

49. სხვადასხვა მასალა გრიგოლ ფერაძის შესახებ ევანგელისტური ცენტრალური არქივიდან ბერლინში - „Evangelisches Zentralarchiv in Berlin“.

უთარილო, გერმანულ და პოლონურ ენებზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, ასლები, 12 ფ.

50. ბიოგრაფიული ცნობები წმინდა მღვდელმოწამე არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის შესახებ.

უთარილო, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ბუკლეტი.

51. საქართველოს საპატრიარქოს მოსაწვევი ბარათი წმ. მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძისადმი, მიძღვნილ საღამოზე დასასწრებად 19 თებერვალს 17 საათზე.

უთარილო, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 მოსაწვევი.

52. გრ. ფერაძის ფოტო, მარია-აახენის მონასტრიდან.

1925 წ; 3 ივნისი, კელნი, 1 ც.

53. გრ. ფერაძის ფოტო ორ მამაკაცთან ერთად. აქვს მინაწერი - „ჩემ ძვირფას დედას სახსოვრად“.

1927 წ; 28 თებერვალი, ბელგია, 1 ც.

54. გრ. ფერაძის ფოტო.

1930 წ; ბრიუსელი, 1 ც.

55. გრ. ფერაძის ფოტო.

1932 წ; ბონი, 1 ც.

56. ვარშავის უნივერსიტეტის კედელზე გაკრული მემორიალური დაფის ფოტოსურათი. დაფაზე გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული პოლონელი მეცნიერების გვარებია. მათ შორის არის გრ. ფერაძე, რომელიც ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა. ფოტოს აქვს ი. მეგრელიძის წარწერა იმის შესახებ, რომ ფოტოსურათი გამოუგზავნა მიხეილ კვალიაშვილმა.

1970 წ; პოლონურ ენაზე, 1 ც.

57. გრ. ფერაძის ფოტო.

უთარილო, 1 ც.

58. გრ. ფერაძის ფოტო.

უთარილო, 1 ც.

59. გრ. ფერაძის ფოტო.

უთარილო, 1 ც.

60. გრ. ფერაძის ფოტო.

უთარილო, 1 ც.



61. გრ. ფერადის ფოტო.

უთარილო, 1 ც.

62. გრ. ფერადის ფოტო.

უთარილო, 1 ც.

63. გრ. ფერადის ფოტო ორ მამაკაცთან ერთად. აქვს მინაწერი - „ძვირფას დედას“.

უთარილო, 1 ც.

### III) შემოქმედება

64. გრ. ფერადე - (I კლასის I განყოფილების მოწაფე); მისი სასკოლო თხზულება „Сад и огород” (сравнение) - ბაღი და ბოსტანი, შედარება.

1913 წ. 4 დეკემბერი, ავტოგრაფი, 3 ფ.

65. გრ. ფერადე - (I კლასის I განყოფილების მოწაფე); მისი სასკოლო თხზულება „Чем объяснить успехи Римлян в деле объединения ими народов Италии” – ( რითი ახსნათ რომაელთა წარმატება იტალიის ხალხების გაერთიანებაში.

[1913] წ. რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 4 ფ.

66. გრ. ფერადე - (I კლასის I განყოფილების მოწაფე); მისი სასკოლო თხზულება „Быт патриархов еврейского народа (Абраама, Исаака и Иакова)” - ებრაელი ხალხის პატრიარქების ყოფა; აბრაამის, ისააკის, იაკობის.

[1913]; რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 3 ფ.

67. გრ. ფერადე (I კლასის I განყოფილების მოწაფე); მისი სასკოლო თხზულება „Был ли Валаам истинным пророком Божиим” - ( იყო თუ არა ვალაამი ღმერთის ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი ).

[1913] წ; რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 2 ფ.

68. გრ. ფერადე - (I კლასის I განყოფილების მოწაფე); მისი სასკოლო თხზულება „Причины и следствия греко-персидских войн” – ( ბერძნულ-სპარსული ომების მიზეზები და შედეგები ).

[1913] წ. რუსულ ენაზე, 2 ფ.

69. გრ. ფერადე - (I კლასის I განყოფილების მოწაფე); მისი სასკოლო თხზულება „Характеристика черкешенки (по поэме Пушкина «Кавказский пленник») - ჩერქეზი ქალის დახასიათება პუშკინის პოემის, „კავკასიელი ტყვის” მიხედვით).

[1913] წ, ავტოგრაფი, დაზიანებული, 3 ფ.

70. გრ. ფერადე - (I კლასის I განყოფილების მოწაფე); მისი სასკოლო თხზულება „შემოდგომის დღე სოფლად და ქალაქში”.

[1913] წ. ავტოგრაფი, 3 ფ.

71. გრ. ფერაძე - (III კლასის I განყოფილების მოწაფე); მისი სასკოლო თხზულება „Четыре темперамента в поэме Гоголя ‘Мертвые души’” ( ოთხი ტემპერამენტი გოგოლის “ მკვდარი სულების” მიხედვით).

[1915] წ. რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 5 ფ.

72. გრ. ფერაძე - (III კლასის I განყოფილების მოწაფე); მისი სასკოლო თხზულება „В чем совершенство понятий” ( რაში მდგომარეობს გაგების სრულყოფილება).

[1915] წ. რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 2 ფ.

73. გრ. ფერაძე - (III კლასის I განყოფილების მოწაფე); მისი სასკოლო თხზულება: „ბაღადა”, „გორის-ციხე”, შინაარსი და მისი შეფასება.

1915 წ. ავტოგრაფი, 2 ფ.

74. გრ. ფერაძე - (III კლასის I განყოფილების მოწაფე); მისი სასკოლო თხზულება „Сравнительная оценка субъективного и объективного метода в психологии” ( სუბიექტური და ობიექტურის მეთოდის შედარებითი შეფასება ფსიქოლოგიაში.)

[1915] წ. რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 3 ფ.

75. გრიგოლ ფერაძის დღიურები; ლექსები და სხვადასხვა ჩანაწერები.

1915-1919 წწ. ქართულ, გერმანულ და რუსულ ენებზე, ავტოგრაფი, 133 ფ.

76. გრ. ფერაძე - (IV კლასის I განყოფილების მოწაფე); მისი სასკოლო თხზულება „В чем заключается основное противоречие Кантовского учения о вещи в себе” ( რაში მდგომარეობს კანტის “საგნის თავისთავში” შესახებ სწავლების ძირითადი წინააღმდეგობა).

[1916] წ. რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 2 ფ.

77. გრ. ფერაძე - (IV კლასის I განყოფილების მოწაფე); მისი სასკოლო თხზულება „Ересь антитринитариев”; (ანტიტრინიტარიების ერესი).

[1916] წ. რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 3 ფ.

78. გრ. ფერაძე - (IV კლასის I განყოფილების მოწაფე); მისი სასკოლო თხზულება „Можно ли объяснить происхождение монотеизма в ветхозаветной религии особенностями семитического племени его историческими условиями жизни”( შეიძლება თუ არა მონოთეიზმის წარმოშობა ძველი აღთქმისეულ

რელიგიაში აიხსნას სემიტური ტომის განსაკუთრებულობებით და ცხოვრების ისტორიული პირობებით).

[1916] წ. რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 3 ფ.

79. გრ. ფერადე - (IV კლასის I განყოფილების მოწაფე); მისი სასკოლო თხზულება „Справедливо ли утверждение натуралистической гипотезы, что физический страх мог породить религию?“ (სამართლიანია თუ არა ნატურალისტური ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ რელიგია შესაძლოა შიშის გამო წარმოშობილიყო).

1916 წ. რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 4 ფ.

80. გრ. ფერადე - (IV კლასის I განყოფილების მოწაფე); მისი სასკოლო თხზულება „Учение Аристотеля о Боге“; (არისტოტელეს სწავლება ღმერთის შესახებ).

[1917] წ. 19 იანვარი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 4 ფ.

81. გრ. ფერადე - (IV კლასის I განყოფილების მოწაფე); მისი სასკოლო თხზულება „Месии у пророка Исаии“; (მესიები წინასწარმეტყველესაიასთან).

1917 წ. 18 მარტი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 4 ფ.

82. გრ. ფერადე – რომანი „თეთრი ზამბახი“.

1920 წ. 20 ნოემბერი-1921 წ. 27 ოქტომბერი, ნაბეჭდი, ავტოგრაფი, 41 ფ.

83. გრ. ფერადეს სტატია – Die Ausbildungszeit unseres georgischen Theologen in Deutschland“; (ქართველი თეოლოგების განათლება გერმანიაში); გაზ. „Der Orient“, № 8, რვეული 5-6, გვ. 80-83.

1926 წ. გერმანულ ენაზე, 3 ფ.

84. გრიგოლ ფერადის საგაზეთო სტატია ამბროსი ხელაიას შესახებ. ჟურნალი „Der Orient“; ( აღმოსავლეთი ); № 9

1927 წ. გერმანულ ენაზე, ასლი, რვეული 5-6, ხელმოუწერელი, გვ. 61, 1 ფ.

85. „Zeitschrift der Deutschen Morgenlandischen Gesellschaft“ (გერმანული აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოების გაზეთი). გრ. ფერადის მოხსენება

„Zur vorbyzantinischen Liturgie Georgiens” (საქართველოს წინაბიზანტიური ლიტურგიისთვის).

1928 წ. ლაიფციგი, გერმანულ ენაზე, ასლი, 6 ფ.

86. გრ. ფერადის საგაზეთო სტატია - „Die Anfänge der Monchtums in Georgien” (მონაზვნობის საფუძველბი საქართველოში);  
გაზ. „Zeitschrift für Kirchengeschichte”, გვ. 34-75 (ეკლესიის ისტორიის გაზეთი).

1928 წ. გერმანულ ენაზე, ასლი, 23 ფ.

87. ენციკლოპედია „Die Religion in geschichte und Gegenwart”; (რელიგია ისტორიასა და თანამედროვეობაში); ტომი II; გრ. ფერადის სტატიები.

1928 წ. გერმანულ ენაზე, ასლი, 4 ფ.

88. გრ. ფერადის სტატია - „Die Bekehrung Georgiens zum Christentum” (ქართველების გაქრისტიანება); ჟურნალი „Alte kirche” (ძველი ეკლესია).

1930 წ. გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

89. გრ. ფერადის ნაშრომის მოკლე მიმოხილვა; რეზიუმე.  
აღმოსავლეთმცოდნეობის ლიტერატურული გაზეთი „Orientalistische literaturzeitung”.

1931 წ. ლაიფციგი, გერმანულ ენაზე, ასლი,  
4 ფ.

90. გრ. ფერადის სტატია „Dokumenty, dotyczace zagadnien odnalezienia I tekstu kodeksu synajskiego”. ჟურნალი „Elpin” № 8, გვ. 127-151.

1934 წ. პოლონურ ენაზე, ასლი, 13 ფ.

91. გრ. ფერადე – [ლეგენდები ქრისტეზე].

უთარილო, ავტოგრაფი, 7 ფ.

92. გრ. ფერადის ნაშრომი: „Die Probleme der Alttesten Kirchengeschichte Georgiens”. (ქართული ეკლესიის უძველესი ისტორიის პრობლემები).

უთარილო, გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი, 10 ფ.

93. გრ. ფერადის მიერ 1933 წლის 6 დეკემბერს ვარშავის უნივერსიტეტში წაკითხული ლექცია: „მართლმადიდებლური თეოლოგიის მცნებები, ამოცანებები და მეთოდები”.

უთარილო; ქართულ ენაზე, 12 ფ.

94. გრ. ფერადის სასკოლო თხზულება - „Противоположность первобытного и культурного человека в первых поэмах Пушкина“; (პირველყოფილი და კულტურული ადამიანის დაპირისპირება პუშკინის პირველ პოემებში).

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 3 ფ.

95. გრ. ფერადის სასკოლო თხზულება - „Царство Мессии в изображении пророка Исаии (книга Исаии)“; (მესიის საბრძანისი წინასწარმეტყველი ესაიას წარმოსახვით „ესაიას წიგნი“).

უთარილო, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 6 ფ.

96. გრ. ფერადის სასკოლო თხზულება - „Откуда произошла религия“; (საიდან წარმოიშვა რელიგია).

უთარილო, ავტოგრაფი, 3 ფ.

97. გრ. ფერადის სხვადასხვა ნაწერები.

უთარილო, ქართულ და რუსულ ენებზე, ავტოგრაფი.

#### IV) მიმოწერა

98. ელენე ბარნაბიშვილის წერილი გრ. ფერაძისადმი.  
სთხოვს, 400 მანეთის ოდენობით ფულის სესხებას.

პირი: ვინმე მაშო.  
უთარილო, ხელმოწერით, 1 ფ.

99. დედის წერილი გრ. ფერაძისადმი;  
კერძო ხასიათის.

პირი: არჩილი, ჩიკვაძე, მღვდელი, მატრონა  
უთარილო, ავტოგრაფი, 1 ფ.

## V) სხვადასხვა

100. გამოცემა - „Byzantion“.

“Revue Internationale des Etudes Byzantines”. V tome (1929), 52-280.

პირი: ი. ჯავახიშვილი, ა. შანიძე  
1929-1930 წწ; პარიზი, ფრანგულ და გერმანულ ენაზე, ასლი,  
12 ფ.

101. სტატიები „Georgica“-ს და „ჯვარი ვაზისას“ შესახებ. ნახსენებია გრ.  
ფერაძე. გაზ. „Zeitung der Deutschen Morgenlandischen Gesellschaft“, (გერმანული  
აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოების გაზეთი).

პირი: კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ე. თაყაიშვილი, ზ. ავალიშვილი,  
ა. გუგუშვილი, ფ. ზადელეი, გ. ბოჭორიძე, ს. მაკალათია  
ს. კაკაბაძე, ა. ჯავახიშვილი  
1937 წ; ლაიფციგი, გერმანულ ენაზე, ასლი.

102. Pick. Veli bek Jedigar, Kontraktowi w kawalerii Polskiej. “Preglad Kawalerii I  
Broni Pancernej”.

1969 წ; პოლონურ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

103. „ინოსტრანაია ლიტერატურას“ მიმართვა (№ 162) ვასილ ფერაძისადმი.  
აცნობებენ, რომ არ გააჩნიათ ცნობები ვარშავის უნივერსიტეტის  
მეცნიერთა შესახებ, რომლებიც დაიღუპნენ გერმანელი ფაშისტების  
წინააღმდეგ ბრძოლაში.

1972 წ; 28 აგვისტო, მოსკოვი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

104. თბილელი მიტროპოლიტის ლეონიდის „მოწოდება თბილისის  
მორწმუნე მოქალაქეთადმი“.

ეხება ეკლესიის აგებას წმ. აბოს წამების აღგილას.

პირი: გაბრიელ ჩაჩანაძე, აღ. დათუკაშვილი, დარიის  
მონასტრის ხაზინდარი მღვდელ-მონაზონი სერაფიმე.  
უთარილო, ნაბეჭდი, 2 ც. 2 ფ.

105. ბერმონაზონ გერმანეს ბარათი არქიმანდრიტ ალექსანდრესადმი.  
კერძო ხასიათის.

უთარილო; ავტოგრაფი, 1 ფ.

106. ჟურნალი „განათლება“.

უთარილო, ქართულ ენაზე, ნაკლული, დაზიანებული, 35 ფ.



107. უცნობი პირის სასკოლო თხზულება „ფსევდო-კლასიციზმი ქართულ ლიტერატურაში“.

უთარილო; ავტოგრაფი, 4 ფ.

## V) სხვა არქივებში დაცული მასალა გრიგოლ ფერაძის შესახებ

### ა) მიმოწერა

1. გრიგოლ ფერაძის წერილი ე. თაყაიშვილს;  
კერძო ხასიათის.

1931 წ.; 2 მაისი; 2 ფ.

**ექვთიმე თაყაიშვილის არქ. № 1538**

2. გრიგოლ ფერაძის წერილი ე. თაყაიშვილს;  
კერძო ხასიათის.

უთარილო; 1 ფ.

**ექვთიმე თაყაიშვილის არქ. № 1660**

3. გრიგოლ ფერაძის წერილი კორნელი კეკელიძეს;  
აცნობებს, რომ შვეიცარიაში (ბერნში) დაიბეჭდა მისი დისერტაციის  
უკანასკნელი ნაწილი, წერს აგრეთვე პ. პეეტერსის შესახებ.

1921 წ.; 2 ოქტომბერი; ბრიუსელი; 2 ფ.

**კორნელი კეკელიძის არქ. № 675**

4. გრიგოლ ფერაძის წერილი კორნელი კეკელიძეს;  
აცნობებს, რომ სამინისტროდან მიიღო გამოცდების ჩაბარების ნებართვა;  
აცნობებს აგრეთვე, რომ პ. პეეტერსი თარგმნის „კონსტანტინე ქართველის  
ცხოვრებას“, რის შემდეგაც აპირებს „შუშანიკის ცხოვრების“  
გადათარგმნას; წერს გუსენისა და ერჰარდის შესახებ.

1925 წ.; 5 დეკემბერი; 1 ფ.

**კორნელი კეკელიძის არქ. 676**

5. გრიგოლ ფერაძის წერილი კორნელი კეკელიძეს;  
აცნობებს, რომ პროფესორი გუსენი საჩუქრად უგზავნის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტს პარიზული ხელნაწერის ფოტოსურათებს;

1926 წ.; 23 მარტი; 1 ფ.

**კორნელი კეკელიძის არქ. № 677**

6. გრიგოლ ფერაძის წერილი კორნელი კეკელიძეს;

წერს, რომ მუშაობს წმინდა ნინოს ბიოგრაფიებზე; წერს აგრეთვე, რომ პ. პეტერსმა დაასრულა „მუშანიკის ცხოვრების“ თარგმნა და ამტკიცებს, რომ იგი დაწერილია მე X-XI საუკუნეებში.

1926 წ.; 17 აგვისტო, ბრიუსელი; 2 ფ.  
**კორნელი კეკელიძის არქ. № 678**

7. გრიგოლ ფერაძის წერილი კორნელი კეკელიძეს.  
აცნობებს, რომ მას შესთავაზეს ქართულ-სომხური ფილოლოგიის ლექტორობა ბონის უნივერსიტეტში; აცნობებს აგრეთვე, რომ მალე გამოქვეყნდება პროფ. გუსენის შრომა კირიონ I-ის შესახებ.

1927 წ.; 14 თებერვალი; ლუვენ; 1 ფ.  
**კორნელი კეკელიძის არქ. № 679**

8. გრიგოლ ფერაძის წერილი კორნელი კეკელიძეს;  
წერს, რომ საბჭოთა მთავრობა მას არ აძლევს სამშობლოში დასაბრუნებელ პასპორტს; სთხოვს გამოუგზავნოს ქართული ლიტერატურის ისტორიის I ტომი და პ. ინგორიყვას „რუსთველიანა“.

1927 წ.; 11 ოქტომბერი; ბონი; 2 ფ.  
**კორნელი კეკელიძის არქ. № 680**

9. გრიგოლ ფერაძის წერილი კორნელი კეკელიძეს;  
წერს, რომ გერმანულად თარგმნა ცხოვრებანი სერაპიონ, გრიგოლ, იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებისა და შესაძლოა, გამოსცეს კიდევ ისინი.

1928 წ.; 10 ოქტომბერი; ლუვენ; 1 ფ.  
**კორნელი კეკელიძის არქ. № 681**

10. გრიგოლ ფერაძის წერილი კორნელი კეკელიძეს.  
აცნობებს, რომ მალე დაამთავრებს თავის შრომას მარკოზის სახარების ქართული ვერსიების შესახებ, აცნობებს აგრეთვე, რომ შეიძლება სამეცნიერო კარიერას თავი დაანებოს და საეკლესიო სამსახურს შეუდგეს.

1929 წ.; 4 იანვარი; 2 ფ.  
**კორნელი კეკელიძის არქ. № 682**

11. გრიგოლ ფერაძის წერილი კორნელი კეკელიძეს;  
თხოვს გამოუგზავნოს სახარების ქართული ხელნაწერების სია, რომელიც უნდა დაურთოს გამოკვლევას მარკოზის სახარების შესახებ.

1929 წ.; 9 იანვარი; ბონი; 1 ფ.

**კორნელი კეკელიძის არქ. № 683**

12. გრიგოლ ფერაძის წერილი კორნელი კეკელიძეს;  
აცნობებს, რომ ამზადებს გამოსაქვეყნებლად წერილს ქართული  
ხელნაწერების შესახებ, რომლებიც ბერლინში იპოვა; აცნობებს აგრეთვე,  
რომ მისი „პატროლოგიის“ ბეჭდვა გერმანულად ძალიან გაჭინაურდა.

1930 წ; 21 იანვარი; ბონი; 1 ფ.

**კორნელი კეკელიძის არქ. № 684**

13. გრიგოლ ფერაძის წერილი კორნელი კეკელიძეს.  
წერს, რომ უგზავნის თავის ახლად გამოცემულ პატროლოგიას; წერს  
აგრეთვე მარკვარტის სიკვდილის შესახებ.

1930 წ; 1 მარტი; ბონი; 1 ფ.

**კორნელი კეკელიძის არქ. № 685**

14. გრიგოლ ფერაძის წერილი კორნელი კეკელიძეს;  
წერს, რომ პ. პეტერსმა მისცა მას უფლება ქართულად ეთარგმნა „იზიდ-  
ბოზიდის ცხოვრება“ და თხოვს აცნობოს, თუ ვის სახელზე გამოგზავნოს  
დასაბეჭდად ეს თარგმანი; აცნობებს, რომ დისერტაცია უკვე ჩააბარა და  
მალე დაეწევა გამოცდები.

1931 წ; ბონი; 1 ფ.

**კორნელი კეკელიძის არქ. № 686**

15. გრიგოლ ფერაძის წერილი კორნელი კეკელიძეს;  
თხოვს მოსწეროს საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის შესახებ;  
აცნობებს, რომ მისი დისერტაცია ზაფხულში გამოქვეყნდება.

უთარილო ; 2 ფ.

**კორნელი კეკელიძის არქ. № 687**

16. გრიგოლ ფერაძის წერილი კორნელი კეკელიძეს;  
წერს, რომ მიიღო მისი ნაშრომი „უცხო ავტორები ძველ ქართულ  
მწერლობაში“ და უახლოეს დროში შეუდგება მის თარგმნას; წერს  
აგრეთვე, რომ სომხური მასალების გასაცნობად მიემგზავრება  
მხითარისტებთან ვენაში.

უთარილო; 2 ფ.

**კორნელი კეკელიძის არქ. № 688**

## ბ) სხვადასხვა

17. ეპისკოპოს კირიონის წერილი ჩიჯავაძისადმი;  
კერძო ხასიათის. იხსენიება გრიგოლ ფერაძე.  
1909 წ.; 15 მაისი; 1 ფ.  
კირიონ საბაგლიშვილის არქ. № 353

18. პროფესორ ჰ. გუსენის წერილი კ. კეკელიძეს;  
თხოვს მოსწეროს ცნობები ახალი აღთქმის ძველი ქართული ხელნაწერის  
შესახებ. იხსენიება გრიგოლ ფერაძე.  
1926 წ.; 1 თებერვალი; გერმანულ ენაზე, 2 ფ.  
კორნელი კეკელიძის არქ. № 446

19. რეცენზიები და მოკლე ცნობები კორნელი კეკელიძის წიგნზე  
„ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები“.  
ამონაჭრები გერმანული ჟურნალ-გაზეთებიდან. იხსენიება გრიგოლ  
ფერაძე.  
1928-1932 წწ.; 29 ფ.  
კორნელი კეკელიძის არქ. № 288

## ა) პირთა საძიებელი

ავალიშვილი ზურაბ 100  
ალექსანდრე არქიმანდრიტი 105  
ამირანაშვილი შალვა 7

ბარნაბიშვილი ელენე 97  
ბოჭორიძე გ 100  
ბრაუნი იან 4 9

გერმანე ბერმონაზონი 105  
გოგინაშვილი; სალომე 23  
გრიშკაშვილი ამბროსი 28  
გუგუშვილი ანდრია 102 100 13  
გუსენი 18 7 5 4

დავრიშაშვილი არჩილ 15  
დათუკაშვილი ალ 104  
დულარიძე თამარ 16

*ერპარდი 4*

ზადელეი ფ 100

თაყაიშვილი ექვთიმე 100 11; 1 2

<sup>1</sup> პირთა და გეოგრაფიულ პუნქტთა სახელები სხვა ფონდებში გრიგოლ ფერაძის შესახებ დაცული მასალიდან დაბეჭდილია დახრილად. გრიგოლ ფერაძის არქივის საძიებელთა ნომრები დამატებითი მასალის საძიებელთა ნომრებისაგან გამოყოფილია წერტილ-მძიმით (-).

იედლიჩკა 11  
ილია II კათალიკოს პატრიარქი 43  
ინგოროყვა პავლე 8

კაკაბაძე ს. 100  
კეკელიძე კორნელი 100; 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 18 19  
კვალიაშვილი მიხეილ 10 11 55  
კირიონ I. 7 17  
კუპატაძე ბონდო 33

ლაშვი ნინო 32  
ლეონიდი მიტროპოლიტი 104  
(ლენჩევსკი) ნიკოლოზ 45

მათიკაშვილი ნიკო 11  
მაკალათია ს. 100  
მარკვარტი 13  
მატრონა 96  
მაშო 97  
მეგრელიძე იოსებ 12  
მინდიაშვილი ბექა 27 38 23  
მიქელაძე ნორა 46  
მღვდელი 96  
მჭედლიძე ირინე 26

ნადიბაძე ნინო 43  
ნოზაძე ვიქტორ 5  
ნუცუბიძე ლია 40

პაპროცკი ჰენრიკ 36 46  
პეტერსი პ.; 14, 6 4 3

ჟორდანია გივი 6

რამიშვილი ნინო 40  
როშკო კაზიმეჟ 4

საყვარელიძე სოფო 46  
სერაფიმე დარიის მონასტრის ხაზინდარი მღვდელ-მონაზონი 104  
საითიძეები 17 18 19  
სალია კალისტრატე 8

ფერაძე ილია 44  
ფერაძე რომანოზ 17 19 21 25 18  
ფერაძე ვასილ 10 103 13 14 8 11 5

შიშქელაშვილი თამარ 35  
შანიძე აკაკი 100 99

ჩახანიძე გაბრიელ 104  
ჩიკვაძე არჩილ 96  
*ჩიჯავაძე 17*

ხელაია ამბროსი 98  
ხითარიშვილი ლენა 22  
ხუბულური ღარისა 9

ჯავახიშვილი ივანე 100 99  
ჯაფარიძე გონა 39



## ბ) გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ბერლინი 48 ; 12  
ბერნი 3  
ბრიუსელი 3 6  
ბონი 54 ; 7 8 11 12 13 14

ვარშავა 11 14 30  
ვენა ; 16

ლაიფციგი 100 87  
ლონდონი 13 102  
ლუგენი ; 7 9

მოსკოვი 103

ოსვენციმი 14

პარიზი 13 23 5 99  
პოზნანი 10  
პოლონეთი 10

შეიჯარია 3

ციურიხი 20

## გ) გადაყვანი ცხრილი

ძველი №	ახალი №
31	1
29	2
1	3
2	4
48	5
3	6
4	7
49	8
5	9
46	10
47	11
6	12
42	13
43	14
44	15
	16
55	17
	18
	19
	20
	21
	22
	23
	24
	25
	26
	27
	28
	29
	30
	31
	32
	33
	34
	35
	36
	37
	38
	39
	40

	41
	42
	43
	44
	45
54	46
	47
	48
	49
	50
	51
36	52
37	53
38	54
39	55
7	56
41	57
41	58
41	59
41	60
41	61
41	62
40	63
8	64
13	65
12	66
11	67
10	68
9	69
14	70
15	71
17	72
18	73
16	74
28	75
23	76
22	77
21	78
20	79
24	80
19	81
30	82
	83
	84
	85

	86
	87
	88
	89
	90
32	91
	92
	93
27	94
26	95
25	96
33	97
	98
35	99
	100
	101
56	102
45	103
50	104
51	105
53	106
52	107